ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N 33

**სხდომის ჩატარების დრო:**
**21 ივნისი, 2023 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

**ესწრებოდნენ:**
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, ხათუნა არველაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, გია ბასილაძე.

**სულ:** 7 წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები: რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

**სხდომაში მონაწილეობდა:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **ბატონი ირაკლი შენგელია.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების: „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ამ ფრაქციების წერილობითი

მომართვების განხილვის შესახებ

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრის შესახებ

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველი საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების: „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ამ ფრაქციების წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ**

ზემოაღნიშნული საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა, დებატები არ წარმართულა.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების: „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ამ ფრაქციების წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ

**მუხლი 2.** დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრის შესახებ**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ქალბატონმა თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა, დებატები არ წარმართულა.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრის შესახებ.

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი